ცნობის ფურცელი

№ 1798 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 შაბათი, 4 მაისი № 1798

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ქვრივი მინადორა მთიულოვისა ბუკიას ასული და ქალი მისი ლიდია ისააკის ასული გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართა, პირველის მეუღლისა და მეორის მამის გარდაცვალებასა

ისააკ ნიკოლოზის ძე მთიულოვისა,

რომლის მეორმოცის წირვა და პანაშვიდი დანიშნული არის 30 მაისს, დ. ანაკლიაში. (ზუგდიდის მაზრა)

მესამე საარჩევნო უბნის

ამომრჩეველთ იწვევენ

საზოგადო კრებაზე,

რომელიც დანიშნულია ხმოსანთა კანდიდატების სიის შესადგენად; კრება მოხდება ვეტცელის სასტუმროში (ქსენიას ქუჩიდანაა შესავალი), 12 მაისს, დილის 11 საათზე.

ამასთანავე გამგე კომიტეტის ბიურო სთხოვს ამომრჩეველთ, არა უგვიანეს 10 მაისისა შეატყობინონ მას მესამე საარჩევნო უბნის სასურველ კანდიდატების სახელი, მამის სახელი და გვარი. ეს ცნობები უნდა მიაწოდონ: თავმჯდომარეს **ა. ს. ბაბოვს**—სუდებნაია ქუჩა. № 58; თავმჯდომარის ამხანაგს **ა. ი. ხატისოვს**—ლაბორატორნაია, № 13; მდივანს **ა. ბ. ევანგულოვს,** უჩებნი ვიწრო ქუჩა, № 3; ან კომიტეტის რომელსამე შემდეგ წევრს: ნ. ი. კარა-მურზას, ფ. ი. ბოგდანოვს, ი. პ. ვექილოვს, ს. პ. სარაჯევს, ი. დ. გულისაშვილს, გრ. ჩარკვიანს, ნ. ვ. აბრამიანს, ნ. ა. გრიქუროვს, ო. ზ. ფანიევს, ი. ნ. კოზაკოვს, მ. ნ. შარიფოვს, ი. ი. მაიერს, ტ. ი. ჯამალპოვს, გ. პ. მელიქ-კირაკოზოვსა და ი. ხ. კაპრანოვს. (1—1)

ქართული თეატრი

შაბათს, 4 მაისს 1902 წელს

ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა და სცენის მოყვარეთა მიერ

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

პირველად გასახლების შემდეგ

I.

ცხოვრების გმირი

დრამა 3 მოქმედ. კარეევისა, თარგ. ზ. ჩიკვაიძისა.

II.

ბედნიერი ცოლ-ქმარი

ვოდევ. 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია ცაგარლისა, კარგარეთელი, გიგოშვილი, კაზთელი, საღარიძე და სხ.

ბ.ბ. ვლ. მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმერიძე, იმედაშვილი, ივანიძე და სხვანი.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

მზადდება „სამშობლო“.

ე ქ ი მ ი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა **№ 24.**

ტელეფონი № 642.

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე; მიიღებს აგრეთვე საქმეს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, **№ 40,** თულაევის სახლი.

ქუთაისის გუბერნიის **მევენახე-მეღვინეთა პირველ ამხანაგობის** წლიური საზოგადო კრება გადიდვა კვირას, ხუთ მაისის, დილის ათი საათისათვის.

(ნ.6—6) **ნ. წერეთელი**

გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი სთხოვს მაზრის თავად-აზნაურთ, მობრძანდნენ კვირას, 5 მაისს, დილის 10 საათზე, **მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე,** ტფილისის სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს ბინაზე, განსახილველად შემდეგის საგნებისა:

1) როგორ მოიხმაროს თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები ფული და 2) საკითხი იმის შესახებ, რომ საგუბერნიო სათავად-აზნ. კრება მარტის მაგიერ დეკემბერში ინიშნებოდეს. (1—312—1)

დონკიხოტობა

წარმოიდგინეთ დოღის მინდორი. განსაზღვრულ საათს ცხენების გაჯიბრება არის დანიშნული. გასაქცევათ მიიყვანეთ თქვენი რაში. მაგრამ დანიშნულ დროს სხვებმა თავიანთი ცხენები არ მოიყვანეს. მიუხედავად ამისა, თქვენ მაინც შეახტით თქვენს ცხენს, შემოჰკარით მათრახი, დაჰკივლეთ, შემოსძახეთ და გააქციეთ. მირბის, მიფრინავს თქვენი მერანი და თქვენს გულშიაც სიხარულია. ამაყობთ თქვენის ცხენით და როდესაც, გაქცევის შემდეგ, აფრიალებულ დროშამდე მიაღწევთ, თქვენს აღფრთოვანებას საზღვარი არა აქვს და გამარჯვებასაც დღესასწაულობთ. თქვენმა ცხენმა დანიშნულ ადგილას პირველმა მიაღწია და დოღზე გაიმარჯვა, გულუბრყვილოდ თავი მოგწონთ და ქვეყანას აუწყებთ თქვენს ბედნიერებას.

ამის მსგავსი ამბავი მოხდა იმ დღეს სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების კრებაზედ. კრებას არა ჩვეულებრივი დიდი რიცხვი ქართველებისაც დაესწრო. ეს, რასაკვირველია, ჩვენთვის ფრიად მოსაწონია. მხოლოდ ამ დასწრების შედეგი კი უცნაური გამოდგა. ამომრჩევლებმა სტუდენტთა დახმარების გამგეობი! ამორჩევა ბრძოლის ველად გაჰხადეს. ცხრა კაცში ხუთი ქართველი და ოთხი რუსი ამოარჩიეს, ხოლო ყველა სომეხი გააშავეს.

ქართველების აჩქარებული „გამარჯვება“ იმ ცხენის გამარჯვებას მაგონებს, რომელმაც, მეტოქე ცხენები რო არა ჰყავდა, ლეღო პირველმა გაიტანა. მაგრამ ნუთუ სტუდენტთა დამხმარებელ გამგეობის ამორჩევაც ბრძოლის ველად უნდა გავხადოთ და სულ იმის ცდაში-ღა ვიყოთ, რომ „ჩვენიანები“, რაც შეიძლება მეტი გავიყვანოთ? აკი ასედაც მოგვივიდა, ხოლო ვნახოთ, აქედან რა კეთილი გამოვა. ჩვენა გვგონია, კეთილი არა იქმნება-რა.

სომხებს, თუ მეტი არა, ნაკლები უფლება არა აქვთ დამხმარებელ საზოგადოების წევრად გახდნენ. დიდი უმრავლესობა კავკასიის სტუდენტთა შორის სომხები არიან. მათში ბევრი ღარიბიც არის.—ეს ერთი. მეორეც ისა, რომ, ასე თუ ისე, დღეს სომხებს ქონებრივი უპირატესობა აქვთ. სომხების გამორიცხვა საქველ-მოქმედო საზოგადოებიდან, რომლის დანიშნულება სტუდენტთა დახმარებაა, ამ საზოგადოებიდან შეძლებული კაცების, ანუ იმ პირების განდევნა, რომელთაც დამოკიდებულება და მახლობლობა აქვთ ამ შეძლებულ კაცებთან, საქმეს არამც თუ ვარგებლობას, დიდ ვნებასაც მოუტანს.

არ ვიცით, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ ამომრჩევლები. თუ იმას იტყვიან, ამოვირჩიეთ ისინი, ვინც კრებაზე მოვიდაო, ეს გასამართლებელი საბუთი არ არის, რადგან კრებას დაესწრო ორმოცდა ათი კაცი და მათ შორის იყვნენ ცნობილნი მოღვაწენიც.

საზოგადოების დანიშნულება ეროვნულ თავმოყვარეობის შეჯახება კი არ არის, პირიქით, საქმიანობა და გაჭირვებაში ჩავარდნილ სტუდენტთა დახმარებაა. მეორეს მხრივ, თუ თავს იმით გაიმართლებენ, რომ უსომხებოთაც საქმის წაყვანა შეუძლიანთ, ამაში დიდად სცდებიან, რადგან, სხვას რომ თავი დავანებოთ, სომეხ საზოგადოების უკმაყოფილება ნივთიერადაც დააბრკოლებს ახალს საზოგადოებას.

ყველა ამისათვის, ჩვენ არ გვესმის სტუდენტთა დახმარების საზოგადოების წევრთა მოქმედება. თუ ისინი უმაღლესს მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ, ეს მათი მოსაზრება ფუჭი, უგუნური მოსაზრებაა. თუ ქართველებსა და სომხებს შორის ბრძოლაა, ეს იმას არა ნიშნავს, რომ ყველა ჩვენს საქმეებში უნდა შევიტანოთ ჩხუბის და შფოთის ხასიათი. ბრძოლასაც თავისი საზღვარი აქვს. ვისაც ჩვენს შორის la gèrre à outrance,-ის აზრი აფრთოვანებს, იმას არც ჩვენი საერთო მომავალი აქვს გათვალისწინებული, არც თანამედროვე საქმეებში ჩახედვის უნარი ჰქონია. ხოლო თუ ამომრჩევლებმა ისარგებლეს შემთხვევით და იმ ცხენის პატრონსავით უმეტოქოდ გაიმარჯვეს და თავიანთი გამარჯვებაც იდღესასწაულეს, ამ შემთხვევაში მათი გამარჯვება რაინდ დონკიხოტის გმირობას გვაგონებს, რომელიც ხშირად უჩინარ მტერზედ მიიტანდა ხოლმე გაქანებულ იერიშს.

არჩილ ჯორჯაძე.

საზღვარ-გარედ

გერმანია. ახალ სადამოჟნო ტარიფის კომისიამ აქამდე მხოლოდ 237 მუხლი განიხილა, განსახილველ მუხლების რიცხვი ათასამდე ადის. კომისიის უმრავლესობას აგრარიები შეადგენენ და სარგებლობენ კიდეც თავის ამ მდგომარეობით: მიუხედავათ იმისა,

ფელეტონი

ლიტერატურული „ინკვიზიტორი“

(მოსაუბრე. საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე, IV)

შეიძლებოდა სხვა სახელიც დაგვეწერა სათაურად. ბ. მოსაუბრე ბევრის საყურადღებო თვისების პატრონია: დიდი მოტრფიალეა ლანძღვა-გინების, უზომოდ გადამეტებულის აზრის არის თავის-თავის შესახებ—რასაც იტყვის, ის სიბრძნეა, რასაც დაახასიათებს, ის უტყუარია; დიდ ავტორიტეტად სთვლის თავის თავს: ამაყურად და მედიდურად წარმოსთქვამს—ჩვენ ეს ვსთქვით, ჩვენ ეს ვიცოდით; იტყვის—„ეს სისულელეა და უაზრობაო“, და უნდა დაუჯეროთ, თუმცა არავითარს საბუთს არ მოგიყვანთ; მას არ შეუძლია პატივისცემით მოეპყრას სხვის აზრს, გაიგოს იგი და დიდი პუბლიცისტური და კრიტიკული პრეტენზიები კი აქვს: ისე კალამს არ აიღებს ხელში, რომ შესავალში არ დასწეროს—ყველა მწერალი უგნურია, ყველა გაზეთი უაზროა, ძალიან იბრალებს მკითხველს, რომელსაც ერთი-ღა ნუგეში დარჩენია—ბ. მოსაუბრეს მოუსმინოს და გაიგონოს მისგან აზრიანობა, პრინციპობა და სამართლიანობა...

მაგრამ ჩვენ მაინც ზემოდ დაწერილი სათაური ვამჯობინეთ: ეს სახელი ყველაზე უფრო ახასიათებს მის სულიერს აგებულობას, ეს ცენტრია მისის სულისა. ბ. მოსაუბრეს ძლიერ ახირებული და მძიმე მოვალეობა უკისრნია, რასაკვირველია, საკუთარის ნებით. დღე და ღამ არ სძინავს. მოუსვენრად დაეძებს „მოღალატეებს“. მოღალატეა და მოწინააღმდეგე, მისის შეხედულობით, ყოველი, ვინც მის ვიწრო შეხედულებას არ ეთანხმება. რაკი მას არ ეთანხმები, შენ ყოველსავე სიბილწის, უაზრობის, უგნურობის, უსინიდისობის პატრონი ხარ. იგი ბევრ ძიებას არ შეუდგება, რა-კი მისი ვიწრო კალაპოტზე გამოჭრილი აზრები არ მიიღე, მან ზეპირად იცის, რაც ბიჭი ბრძანდებით. მოგდგებათ, და არის თუ არა ნამდვილად, ის მაინც გამონახავს თქვენს სულში და გულში ათასნაირს უზნეობას, უნიჭობას, სიბოროტეს; გამოვა და დაიწყებს ხმა მაღლა ღაღადს—„არიქა, ვნახე, ეს არის ბურჟუა, ნაციონალისტი, მუშების წინააღმდეგი!“ თან უეჭველია დაუმატებს ამას თავისებურ ავტორიტეტულად: „ლაპარაკი არ უნდა, უნდა ჩამოვახრჩოთო!“ კრიტიკა კაი საქმეა, მაგრამ ბ. მოსაუბრეს იგი „ინკვიზიტორებად“ გარდაუქმნია და იმდენად დაუბრმავებია „არსებულ წეს-წყობილებას“, „წესიერებიც“, ე. ი. მისის ვიწრო შეხედულების, მოწინააღმდეგეს გამონახვის სურვილს და ფრთხილის და მხნე „მცველის“ სახელის მოპოების წადილს, რომ გარდა რამდენისამე ტერმინისა არაფერი შეუძლია გაიგოს, სხვის აზრს ვერ გებულობს, თეთრიდან შავს ვერ არჩევს, თავის აზრს არაფრით არ ასაბუთებს და ადგება და იწყებს სოფლის დედა-კაცივით გაუთავებელს ლანძღვა-გინებას. ვაი, თუ ბ. მოსაუბრეს ეს ლანძღვა-გინება „დემოკრატობა“ და გულ-ახდილობა ჰგონია?!

მე პირველად არ მინდოდა პასუხი გამეცა ბ. მოსაუბრისათვის, იმდენად სუსტია შინაარსით მისი წერილი. მისი „ძალა“ და არგუმენტაცია მხოლოდ ლანძღვა-გინებაა, და აბა რა პასუხი უნდა გასცე ადამიანმა ლანძღვა-გინებას? მაგრამ რომ წარმოვიდგინე ჩვენი უკულტურო მკითხველი, რომლისთვის, საუბედუროდ, ბ. მოსაუბრისებურ არგუმენტებს დიდი მნიშვნელობა და ძალა აქვთ, და შეუძლიანთ სიყალბე სიმართლედ უჩვენონ მას, რომელიც ახლა შეიძლება იმას ჰფიქრობდეს, რომ მე უკვე მკვდარი ვარ, ბ. მოსაუბრის წერილის შემდეგ,—წარმოვიდგინე და იძულებული ვარ აღვნიშნო ბ. მოსაუბრის სრული უსაფუძვლობა („ქარაფშუტობა“ და „უაზრობა“—ეს სულ ბ. მოსაუბრის ტერმინებია!).

თუმცა პირადათ ჩემთვის ბევრი დამცირებაა ბ. მოსაუბრის წერილში, მაგრამ გულწრფელად ვურჩევ მკითხველს, გულდადებით გადაიკითხოს ეს წერილი, მეტად ორიგინალური და იშვიათი ნიმუშია იგი იმისა, თუ, როგორი არ უნდა იყოს პუბლიცისტი!

ბ. მოსაუბრის წყალობით, მე ვეკუთვნი და „სავსებითაც“ იმ „ენა-ჭარბ“ პუბლიცისტებს, „რომლებსაც, რაზედაც გნებავთ, დაუსრულებლად შეუძლიათ ლაპარაკი, მაგრამ რომლებიც თავისი დაუბოლოვებელ ენამჭევრობით არც სულს და არც გულს სრულებით არაფერს არ ეუბნებიან“. ასეთ მწერლებს ის უნდათ მხოლოდ, რომ თავის ენაჭარბობით „ყურადღება მიიქციონ“, სხვა არაფრის დარდი არა აქვთ. რა ძალიან ძუნწი კაცია ჩვენი მოწინააღმდეგე! უნდა ყველაფერი თვითონ მიისაკუთროს. იწამეთ სიმართლე, ბ. მოსაუბრე, ჩვენც გვაქვს დარდი, ღვთის მადლმა, გვაქვს დარდი....

ბ. მოსაუბრის სიტყვებით, მან „უკვე დამახასიათა მე, როგორც პუბლიცისტი (იხ. კვალი № 7)“. მართალია სრულად, დამახასიათა ბ. მოსაუბრემ, მაგრამ საქმე ისაა, როგორ? ამისთვის ვსთხოვ მკითხველს წაიკითხოს ჩემი „პუბლიცისტური რიხიანობა“ (ივერია № 40), საიდანაც დაინახავს, რომ ჩვენს რიხიანს

რომ მინისტრები (ბიულოვი, პოსადოვსკი, ტილმანი, რიხტჰოფენი) ემუდარებიან მადა გახსნილ აზნაურებს—ნამეტანს ნუ იზამთ, დაკმაყოფილდით იმ საჩუქრით, რომელსაც მთავრობა გაძლევთო, აგრარიები მთავრობის მიერ წარმოდგენილ მაღალ ბაჟებს კიდევ უმატებენ და მინისტრებს ემუქრებიან.

ბიულოვმა ეხლახან დიუსკლედორფში ილაპარაკა და აგრარიებს მათრახი გადაჰკრა, რასაც ბევრნი არ მოელოდნენ—ბიულოვი შინაურ პოლიტიკაშიაც დიპლომატია და დიპლომატი კი იშვიათად გამოამჟღავნებს პირდაპირ თავის აზრსა და გრძნობას, ამისათვის მას გაბედულება აკლია. და თუ დიპლომატი ბიულოვი ასე მოიქცა, ეს იმის ნიშანია, რომ მთავრობის მოთმინების ფიალა ავსებულა. „ჩვენ ვიცითო (უთქვამს, სხვათა შორის, ბიულოვს), რომ საიმპერიო მთავრობის მიზანია, ერთის მხრივ, დაეხმაროს გაჭირვებულ სასოფლო მეურნეობას და ამასთანავე გაადიდოს შინაგანი ბაზარი საქონლისათვის, მეორეს მხრივ, შესაფერ სავაჭრო ხელშეკრულების საშუალებით უზრუნველ ჰყოს უცხოეთის ბაზარი გერმანულ მრეწველობისათვის, (დიდი მოწონება და ვაშას ძახილი). თქვენ, პრაქტიკულ ცხოვრების წარმომადგენლებმა, კარგად იცით, რომ ქვეყნის მატერიალური კეთილდღეობა, მის მწარმოებელ ძალთა განვითარება დამოკიდებულია სახელმწიფოს მდგომარეობისა და მშვიდობიანობის დაცვისაგან, და არა რომელიმე პარტიის სურვილის ასრულებისაგან".

ბიულოვის უკანასკნელი სიტყვები იმას ნიშნავს, რომ აგრარიების სურვილი რომ არ დააკმაყოფილოთ, გერმანიის იმპერიის კეთილდღეობას ამითი არა დაუშავდება რაო. დაუშავდება კი არა, მოიგებს კიდეც, რადგან საწყალ ხალხს პური უფრო იაფი ექნება, თუმცა მთავრობის პროექტის განხორციელებაც დიდი ხარკი იქნება ამ ხალხისათვის.

და მერე ვისთვის არის ეს მძიმე ხარკი საჭირო? თავად-აზნაურობას იგი ვერ უშველის—ხელოვნურ საშუალებით უნიადაგო წოდების გამაგრება ცალიერი ოცნებაა, რომელიც ასე ძვირად უჯდება ერის სხვა კლასებს. რაც შეეხება მთავრობას, ასეთის ზომებით იგი თავისავე სამარეს ითხრის: მთავრობა მთელი ერის მიუკერძებელი წარმომადგენელი უნდა იყოს და თუ იგი ამას ივიწყებს და რომელიმე მისგან მოწონებულ ერთ კლასს ქომაგობას დაუწყებს, ამითი იგი უმტკიცებს დანარჩენებს თავის უვარგისობას და ცხოვრების არსებულ პირობების სრულ შეუფერებლობას. რა უნდა მოჰყვეს ასეთ გარემოებას შედეგად, ყველასათვის ცხადია.

ბაღდადის რკინის გზა. რამდენჯერმე იყო ლაპარაკი ამ გზის საერთაშორისო მნიშვნელობაზე, მაგრამ მეტი არ იქნება ერთ ავტორიტეტულ მწერლის აზრიც მოვიყვანოთ. დოკტორი რორბახი სწერს: „რუსეთ-ოსმალეთის უკანასკნელ ომიანობის სამწუხარო შედეგმა აგრძნობინა ოსმალეთს ანატოლიაში რკინის გზების გაყვანის აუცილებელი საჭიროება. როცა რუსებმა ალყა შემოარტყეს აზრუმს! მოისულიდან დასახმარი ჯარი გაგზავნეს ალყა-შემორტყმულებისათვის. მაგრამ ამ ჯარს არავისთვის დახმარება არ აღმოუჩენია, რადგან გზას მთელი შვიდი თვე მოუნდა და აზრუმში მაშინ მივიდა, როცა ლორის მელიქოვმა მიატოვა იგი თანახმად ბერლინის ტრაკტატის დადგენილებისა. ომის შემდეგ ოსმალეთის მთავარ-შტაბის უმთავრესი საზრუნავი საგანი იყო გზების გაკეთება სომხეთის მთაბარზე, სადაც ადრე თუ გვიან ანგარიში უნდა გაუწმინდონ ერთმანეთს შეურიგებელმა მოცილეებმა (რუსეთი და ოსმალეთი). ფონ-დერ პოლც-ფაშის დახმარებით ოსმალეთის მთავარ-შტაბმა შეიმუშავა პროექტი ორის რკინის გზის ლიანდაგისა: ერთს უნდა შეეერთებია ანატოლიის გზასთან იკონია, დამასკი და აინბათი, მეორეს—ანგორა, იოზგატი, სივაზი, აზრუმი, დირბექირი, მარდინი, მოსიულა და ბაღდადი. ამ გზების აშენების შემდეგ, ოსმალეთს შეეძლება ორ-სამ კვირაში ექვსი კორპუსი დააყენოს რუსეთის საზღვრებზე. მაგრამ ხსენებულ პროექტის განხორციელებას ხელს უშლიდა ბევრი პოლიტიკური და ფინანსიური გარემოებანი. ამიტომ გერმანელებისაგან დაწყებული ბაღდადის რკინის გზა, რომელიც შეესაბამება ოსმალეთის მთავარ-შტაბის სტრატეგიულ მიზანს, შესამჩნევად უზრუნველ ჰყოფს ოსმალეთის ტერიტორიას რუსების დაპყრობისაგან...

რუსებს შეუძლიათ შემოვიდნენ სომხეთში ორის მხრიდან: სოღანლუღის ქედით და ტრაპიზონით; რუსის ჯარები წამოვა ბათუმიდან, რომელიც მალე რკინის გზით შეუერთდება რუსეთს".

რორბახი ბოლოს ამხნევებს ოსმალებს: „ევროპაში რომ ოსმალეთს, როგორც რუსეთის ლუკმა გახრწნილ სახელმწიფოს უცქეროდნენ, არ დაიწყებდნენ ისეთ დიად საქმეს, როგორიც ბაღდადის რკინის გზაა, რომლისთვისაც გერმანიამ უკვე 500.000.000 ფრანკი გადასდო. არც რუსეთის მოკავშირე საფრანგეთს გადაუდვია ამ საქმისათვის ცოტა ფული—მისი წილი მარტო ეხლა—400.000.000 ფრანკს უდრის".

ახალი ამბავი

◆ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი" საზოგადოება, როგორც გადმოგვცეს, 25 და 26 მაისს ალექსანდროვსკის ბაღში მართავს **სახალხო სეირნობას**, ამ საზოგადოების ფონდის გასაძლიერებლად.

◆ გუშინ ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგიდან დედოფალ მარიამის დაწესებულებათა უწყების საკანტროლო ნაწილის გამგე ტაინი სოვ. ალექსეევი, რომელმაც, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, რევიზია უნდა გაუკეთოს ამ უწყების სასწავლებლების **საოჯახო ნაწილს.**

◆ გუშინ, სამს მაისს, ბ. ტფილისის გუბერნატორს წარუდგინეს **დამთავრებული** ქალაქის ხმოსნების საარჩევანო **სიები** განსახილველად.

◆ როგორც აღნიშნული გვქონდა, კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გამართვის გამო **სამეურნეო საზოგადოების** მოვალეებმა მიჰმართეს თხოვნით კავკასიის მთავარ-მართებელს, დაევალებია საზოგადოებისათვის მათი დაკმაყოფილება. ამის გამო მთავარ-მართებლის კანცელარიამ, მთავარმართებლის განკარგულებით, წინადადება მისცა სამეურნეო-საზოგადოების საბჭოს დააკმაყოფილოს მოვალეები. საბჭომ განიხილა ეს წინადადება და გადასწყვიტა შეატყობინოს მთავარ-მართებელს, რომ მისის შუამდგომლობით სამინისტროს უკვე ეთხოვა 24,000 მან., რომელიც საჭიროა მოვალეთა დასაკმაყოფილებლად, და, ვიდრე ამ ფულს არ მიიღებს, საზოგადოება უსახსრობისა გამო მოვალეთ ვერ დააკმაყოფილებს.

◆ 2 მაისს, საღამოს 8 საათზე, ექიმის არტემიევის თავმჯდომარეობით შესდგა **კავკასიის საექიმო საზოგადოების** წევრთა საზოგადო კრება. ტფ. სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა გ. ნ. სტეფანოვმა საყურადღებო მოხსენება წარუდგინა კრებას. სტეფანოვის მოხსენება შეეხებოდა შემდეგს: 1) რამდენად საშიშია ჭლექიანი ძროხის რძის ხმარება. მომხსენებელმა მოიყვანა გამოჩენილ კოხის მოსაზრება, რომ კაცს ძნელად შეიძლება პირუტყვის ავადმყოფობა გადაედვას; ხოლო ცნობილ პროფესორის ბერინგის გამოკვლევით-კი, პირუტყვს არ გადაედება კაცის ავადმყოფობა, ხოლო ძალიან ადვილად შეიძლება, რომ პირუტყვის ავადმყოფობა კაცს გადაედვას. როგორც კრებაზე გამოირკვა, ეს საკითხი საბოლოოდ მეცნიერებისაგან არ არის გადაწყვეტილი; ხოლო რადგანაც უმეტესობა იმ აზრისაა, რომ საქონლის ავადმყოფობა შეიძლება გადაედოს კაცს, ამიტომ ბ-ნმა სტეფანოვმა წამოაყენა მეორე საკითხი: დაევალოს თუ არა რძის გამყიდველებს, რომ მათ უსათუოდ გადადუღებული რძე გაჰყიდონ.

ამ საკითხის შესახებ კრებამ გამოსთქვა—კარგი იქნება ეს წინადადება სახელმძღვანელოდ იქნებოდეს მიღებული, ხოლო მისი სავალდებულოდ გარდაქცევა შეუძლებელიაო. მესამე საკითხი იყო: საჭიროა თუ არა ტუბერკულიოზი აუცრან საეჭვოდ ავადმყოფ საქონელს.

ამასთანავე ბ-ნმა სტეფანოვმა წაიკითხა სასანიტარო საბჭოს მიერ შემუშავებული რძის გაყიდვის შესახებ სავალდებულო დადგენილებათა პროექტი. კარგა ხანს კამათის შემდეგ კრებამ გამოსთქვა სურვილი, მიღებულ იქმნან სავალდებულო დადგენილებანიც და ზემოდ აღნიშნული წინადადებაც, თუმცა ზოგიერთმა ექიმმა სამართლიანი ეჭვი გამოაცხადა რომ ძნელად მოხერხდება სავალდებულო დადგენილებათა რამდენადმე მაინც განხორციელებაო.

◆ გუშინ, 3 მაისს, ტფ. სამოსამართლო პალატის სამოქალაქო განყოფილებამ განიხილა **სადავო საქმე თავ. დიმიტრი ჭავჭავაძის** მემკვიდრეთა და კავკასიის სამოსწავლო უწყების შორის ანდერძით დატოვებულ—200,000 მანეთის შესახებ. ამ საქმის გამო მოწვეულმა ექსპერტებმა—ექიმმა ბ-ნმა ორბელმა და სხვათ—პალატის სხდომის დაწყებისათანავე განაცხადეს, რომ მიეცეს მათ ნება შეისწავლონ მთელი საქმის ვითარება და 15 მაისისათვის დასაბუთებულს მოხსენებას წარუდგენენ პალატას განსვენებულ თავ. ჭავჭავაძის ჯანმრთელობის შესახებ. პალატამ გადასწყვიტა გადაიდოს აღნიშნულ სადავო საქმის არსებითად განხილვა მიმდინარე წლის 5 ივნისისათვის და ამასთანავე დაევალოს ამ საქმის გამო მოწვეულ ექსპერტებს, შეისწავლონ საქმე და მაისამდე პალატას წარუდგინონ თავიანთი მოხსენება.

◆ ეს ორი დღეა ტფ. სამოსამართლო პალატა არჩევს დავას, **ხაზინასა და ბაქოელ მდიდარ ვაჭრის ბაკიხანოვის** მემკვიდრეებს შორის ატეხილს. ეს რამდენიმე წელიწადია, რაც აღნიშნულ ბაკიხანოვის მემკვიდრენი ბაქოს გუბერნიის სოფელ რომანაში 11 ნაჭერ ნავთიან რამდენიმე მილიონად ღირებულ მიწებს ჰფლობენ. ხაზინამ გამოაცხადა ადგილები ხაზინისა არისო. 2 მაისს, ამ საქმის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ, სხდომა გადაიდვა 3 მაისისათვის. გუშინ, ნაშუადღევის მეოთხე საათამდე გაგრძელდა მომჩივან-მოპასუხეთა წარმომადგენლების კამათი. პალატის გარდაწყვეტილების გამოცხადება შემდეგისათვის გადაიდვა.

◆ „ივერია"-ს შეუტყვია, რომ თავ. ილია ჭავჭავაძეს განუზრახავს ლიტერატურულ კრებულის გამოცემა. კრებული დრო-გამოშვებით გამოვა. მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი იქნებიან ყველა **ცნობილი ლიტერატორნი.**

◆ ორშაბათს, 6 მაისსა, და ოთხშაბათს, 8 მაისს, საღამოს, ტფ. „კრუჟოკ"-ის დარბაზში სპეციალისტი ნ. ი. იუშკევიჩი უკანა-

---

პუბლიცისტს დასახასიათებელის პირის მიერ დაწერილის უბრალო წაკითხვაც-კი უჭირს. ამას ბ. მოსაუბრე იმასაც დასძენს: „ჩვენ მაშინ უკეთესის აზრის ვიყავით მაზედ (ე. ი. ჩემზე)". ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, რომ ბ. მოსაუბრე დღეს ჩემზე უარესის აზრის ყოფილა. ვწუხვარ იმასაც, რომ ახლა მეც ცუდის აზრის ვარ მის შესახებ, წინად-კი კარგისა ვიყავი. რა გაეწყობა, ყველაფერი ცვალებადია დედამიწაზედ და, რასაკვირველია, აზრებიც!

ხო, მართლა, ბ. მოსაუბრე თავ მომწონედ ამბობს, წერილის თავში: კალამმა ამას წინათ ერთი პატარა სკუპი გააკეთა „ივერიიდან" „ცნობის-ფურცელში", რაც ჩვენ წინ და-წინ ვიცოდით, რომ მოხდებოდაო". დახეთ: ჩვენი მოწინააღმდეგე გულთ-მისანი და წინასწარმეტყველიც კი ყოფილა! რა დიდი რამ სცოდნია! მაგრამ ცოტა ორ აზროვანად-კი უნდა წინასწარმეტყველობდეს—გადასკუპება-კი იყო, მართალია, მაგრამ პატარა სკუპი იყო, თუ გრძელი, ძნელი, თავის ნებით თუ ძალათ, ეს კი არა სცოდნია კარგად. ძალიანს-კი დამავალებდა ბ. მოსაუბრე, თუ გარკვევით მიწინასწარმეტყველებდა და არა ბოლო რიცხვით, არამედ წინ-და-წინ: „ცნობის-ფურცლიდანაც" ხომ არ გადავსკუპდები, ან ხომ არ გადამასკუპებენ? ჩემისთანა ხელ მოკლე კაცისათვის ამისა ადრევე ცოდნა კარგი იქნებოდა.

რის ბრალს გვდებს ბ. მოსაუბრე? რაში დაინახა ჩვენი უგუნურობა და გონების სიბრმავე?

1) ვითომც ჩვენ ვქადაგებდეთ: „რადგან შენ ქართველი ხარ, უთუოდ ქართველ კანდიდატს უნდა მისცე თეთრი კენჭი, სულ ერთია, რა შეხედულობის ანუ მიმართულების იყოს იგი".

2) ვითომც ჩვენი თეორია ეროვნებათა ჩაყლაპვის თეორია იყოს.—პირველს განმარტება ეჭირვება, მეორეს უსაფუძვლობა-კი თავის თავად აშკარაა.

თუმცა დღეს ადგილობრივი გაზეთები გარს უტრიალებენ ქალაქის საბჭოს არჩევნებს, სწერს ბ. მოსაუბრე, მაგრამ არც ერთს მათგანს არა გაეგება-რა საქმისა. აი საქმე რაშია, მისის შეხედულობით, რომელიც მას კარგად ესმის: ტფილისში საქალაქო არჩევნები ეროვნებათა გამო გართულებულია, „ეროვნება—ეს ერთგვარი ჩადრია, რომელიც უშლის ამომრჩეველს იმის ვინაობის დანახვას და გასჭვრეტას, ვისაც იგი ირჩევს", ამიტომ უნდა ავუხსნათ და დავარწმუნოთ ამომრჩევლები, „რომ ისინი გვარ-ტომობის და ეროვნების მიხედვით-კი არ უნდა ირჩევდენ თავის წარმომადგენელთ, არამედ იმის მიხედვით, თუ რა რწმენის, რა შეხედულების, რა მიმართულების არიან ეს უკანასკნელნი"; „შეხედულობა და მიმართულება-კი დღევანდელს პირობებში დამოკიდებულია ნივთიერ პირობებს გარდა იმ საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, რომელშიაც საზოგადოების წევრნი იმყოფებიან". თუმცა ქვემოთ ბ. მოსაუბრე ამბობს, ჩვენ არ ვართ იმის წინააღმდეგი, რომ ქართველი ხმოსნებიც იქმნენ არჩეულნი საბჭოშიო (რა მოწყალებას იჩენს!), მაგრამ მისის აზრებიდან აშკარადა სჩანს, რომ არჩევნების დროს ქართველებმა—ქართველობა, სომხებმა—სომხობა, რუსებმა-რუსობა უნდა დაივიწყონ.

ბ. მოსაუბრეს რუსულ ანდაზასავით მოსდის: თვითონ ავად იყო და ჯანმრთელს სტიროდაო. სხვებს საქმის გაუგებრობას უკიჟინებს და თავად-კი საქმეში არ ჩაუხედნია. ტფილისის საქალაქო არჩევნებზე ორნაირი შეტაკება და უთანხმოებაა. ერთი ერთა შორის, მეორე თვითონ ერის წევრთა შორის შიგნით.

ყოველს ერს უნდა თავისი წარმომადგენელი იყოლიოს ტფილისის თვით-მმართველობაში; თუ იქნებიან ერთის ერის წარმომადგენელნი, უნდა იქნენ მეორეს წარმომადგენელნი; თუ იქნებიან სომხის ხმოსნები, რად არ უნდა იყვნენ რუსის, თათრის, ქართველი ხმოსნები? მაგრამ ვინ რამდენი უნდა იყოს? რასაკვირველია, ყოველს ერს უნდა ჰყავდეს იმდენი წარმომადგენელი, რამდენ რიცხვსაც შეადგენს თვითონ ტფილისის მცხოვრებთა შორის. ვინ რად უნდა იყოს ყველაფრის ამის წინააღმდეგი?

მაშ რა დაუშავებია ქართველებს, თუ მათაც უნდათ მიიღონ მონაწილეობა ქალაქის თვითმმართველობაში? განა ამ მონაწილეობის გარეშე მათთვის იქნებოდა ეს თვითმმართველობა, ისინი ითვითმმართველებდნენ? მაგრამ ეს მონაწილეობა ხომ ერთის და ორის კაცისათვის არ იქნებოდა; არამედ ქართველებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ იმდენად, რამდენიც არიან ტფილისში.

ეს გარემოება სრულიად არ სპობს თვითონ ქართველებში სხვა-და-სხვა მიმართულების შორის შეტაკებას, არც ქართველ და სხვა ერის ერთნაირის პარტიის წევრების შეთანხმებას, მხოლოდ მუდამ უნდა გვახსოვდეს: რაც უნდა საუკეთესო კაცები იქმნენ ამორჩეულნი საბჭოში, ჩვენ მაინც არ ვიქნებით დაკმაყოფილებულნი, თუ „ჩვენები", ე. ი. ქართველები გამორიცხულ იქნებიან საბჭოდან.

მკითხველი იკითხავს: რად მივაქციეთ ჩვენ მეტი ყურადღება უფრო გარეგან კითხვას—ჩვენ და სომხებს შორის ურთიერთობას? აი რად: ჩვენ სომხებმა გამოგვრეკეს ტფილისის საბჭოდან, დაგვამარცხეს, დავრჩით უხმოთ; ახლა ჩვენი უმთავრესი ფიქრი და გონება უფრო იქითკენ არის მიმართული, რომ ქართველები აუცილებლივ ვიქნეთ არჩეულნი ხმოსნებად, იმდენი, რამდენიც შეეფერება ჩვენს რიცხვს; ყოველს შემთხვევაში დღეს იმდენი მაინც, რამდენის ცენზი გვაქვს *).

---

*) მკითხველმა არ უნდა იფიქროს, რომ ჩვენ სრულიად არ მიგვიქცევია ყურადღება მეორე გარემოებაზე. „ივ." 32 და 49 №№-ში აღვნიშნეთ, როგორის სისწრაფით მიდიან წინ მუნიციპალიტეტები სხვა-და-სხვა საჭიროების დაკმაყოფილების გასაზოგადოებრივების გზაზე, როგორ კარგად მოეწყო სხვაგან ქალაქები, რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ქალაქის თვითმმართველობამ შეუძლებელს მცხოვრებთ; ჩვენი ქალაქი კი არაფერს არ აკეთებს; „ცნ. ფ." 1784 და 1788 №№-ში მოკლედ შევეხეთ იმას, რომ გარე-უბნელები დაჩაგრულნი არიან; ჩვენ არასოდეს არ დაგვიწყებია, რომ თვითმმართველობამ უნდა იზრუნოს ქალაქის კარგად მოწყობისა და ყველას ინტერესების დაკმაყოფილებისათვის, რომ ქართველობა უნდა დაეხმაროს ამ თვითმმართველობის გაუმჯობესობას.

სხნელად წაიკითხავს **ლექციებს** სამკურნალო მასსაჟისა და გიმნასტიკის შესახებ.

◆ ტფილისის გუბერნატორმა დაავალა პოლიციმეისტერს, რომ 12 მაისს მოახდინოს **ხელოსანთა მოურავის არჩევანი.**

◆ ხვალ, დილის 10 საათზე, სოფ. კუხში დანიშნულია ქუთ. გუბერნიის **მებრეშუმეთა პირველ ამხანაგობის** წლიური კრება. ეს კრება მესამედ ინიშნება ამ ერთის თვის განმავლობაში. კრებაზე განხილულ იქმნება, გარდა 1900 და 1901 წლის ანგარიშებისა, ამხანაგობის ზოგიერთი მუხლი და მოხდენილი იქნება გამგეობის წევრების არჩევა.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ წევრთა საყურადღებოდ, რომ ამხანაგობის წაბორძიკებულ და შეფერხებულ საქმეების გამოსაკეთებლად და გასაუმჯობესებლად საჭიროა შემდეგი: 1) შეცვლილი იქმნას ახლად დამტკიცებული წესდება ადგილობრივ მოთხოვნილებისამებრ; სახელდობრ—შეტანილი იქმნას წესდებაში სამი ახალი მუხლი: ზედამხედველ კომიტეტისა და წარმომადგენლობის შემოღება; წევრების სამეურნეო ნაწარმოების გასაღება სავალდებულო იქმნეს მხოლოდ ამხ. გამგეობის დახმარებით და სხვა. 2) დამყარდეს ამხანაგობათა შორის მჭიდრო კავშირი და მათ საქმეებს განაგებდეს საერთო მმართველობა. 3) ამხანაგობათა კავშირმა აღძრას შუამავლობა, მისცენ მას გრძელვადიანი სესხი სამელიორაციო კრედიტიდან და სხვ. ახლად დამტკიცებულ წესდების ძალით, ამხანაგობას არ შეუძლია იყიდოს წევრებისაგან მათი ნაწარმოები—ნედლი პარკი და სხვა, რაც ამ ჟამად შეადგენს ამხანაგობის უმთავრეს აპერაციას. სასურველი იქნება, ამის შესახებ კრებამ მოახდინოს ჯეროვანი დადგენილება.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ყოველ-წლიურად შემწეობას აძლევდა კავკასიის **საფიზიკო ობსერვატორიას** სამეურნეო ბიულეტენების გამოსაცემად. წელს საბჭომ გადასწყვიტა უარი შეუთვალოს ობსერვატორიის გამგეს შემწეობის აღმოჩენაზე, უსახსრობისა გამო.

◆ ორმოცდა-ათ კაცზე მეტმა, საკანდიტეროებში მომუშავეთ, მიმართეს ტფილისის გუბერნატორს საჩივრით, რომ, რადგანაც იმათთვის განაწილებული არ არის **სამუშაო დრო**, და ხშირად მთელი დღე და ღამე მუშაობენ ხოლმე, რის ატანაც ფიზიკურად შეუძლებელია, ამისთვის სთხოვენ ბ. გუბერნატორს, გადაუჭრან იმათ სამუშაო დრო და კვირაობითაც გაანთავისუფლონ.

◆ **სამხედრო მოხელეთა ბინის გარდასახადის** გამოანგარიშებაში უნდა იხელმძღვანელონ იმ წესით, რომელიც განმარტა სახელმწიფო საბჭომ. ცალკე რაზმის კომანდირს უნდა ექიროს სახლი 32½ საჟენიდან 35 საჟენამდე, შტაბ-ოფიცერს—19½ დან 22½-მდე, როტის უფროსს—12-დან 14½ მდე და უმცროსს ოფიცერს 6½ დან 8-მდე. ამის მიხედვით უნდა გამოიანგარიშებოდეს სამხედრო პირთა ბინის გარდასახადი.

◆ ტფილისის მეორე კლასიკურს გიმნაზიაში ეგზამენები დაიწყება 28 **მაისს**—დაბალს კლასებში.

◆ ფოთიდან გვწერენ, რომ იქ 1-ლ მაისს ჩვეულებრივად გამართულა ბურთის თამაში გურულებსა და მეგრელებს შუა. ძლიო გურულებს გაუტანიათ.

◆ ტფილისში 8 მაისიდან 16-მდე სხვა და სხვა გადამდებ სენით ავად გახდა: ქუნთრუშით-6, დიფტერიტით-4, წითელათი-6, ყელჩირვებით 2 და ხუნაგით—1.

◆ დღეს, 4 მაისს, ტფ. სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: პროკოპი ძიძიგურისა, რომელსაც კაცის მოკვლა ბრალდება, კირილე შალამბერიძისა, რომელსაც მამის მოკვლა ბრალდება, და ხოსრო ლევავასი, რომელსაც კაცის დაჭრა ბრალდება.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილის ტკაცკის ქუჩის 20 მცხოვრებელს ამ დღეებში ტფილისის გუბერნატორისათვის შემდეგი საჩივარი მიურთმევიათ: აღნიშნულ ქუჩაზე ერთ შეძლებულ ვაჭარს დაუწყია დიდის სახლების შენება და აღნიშნულ ქუჩის კარგა მოზრდილი ადგილი მიუსაკუთრებია; ასე რომ ისეც ვიწრო ქუჩა კიდევ უფრო დაუვიწროვებია. ტკაცკის ქუჩის მცხოვრებთ ეს ამბავი უცნობებიათ ქალაქის გამგეობისათვის, რომლის განკარგულებითაც მისულა ქალაქის ინჟინერი, ვაჭარ ედიაზაროვისათვის მუშაობა აღუკვეთია და უთქვამს ვაჭრისათვის მისაკუთრებული ადგილი დაეტოვებია. რამდენიმე ხნის შემდეგ ქალაქის ინჟინერი ხელმეორედ მისულა და არწმუნებდა აღნიშნულ ქუჩის მცხოვრებთ, ედიაზაროვს შეიძლება დაეთმოს ¾ არშინი მიწაო. ამის გამო მოხსენებულნი პირნი სთხოვენ გუბერნატორს, რაიმე ღონე იქნეს მიღებული ქალაქის გამგეობის წარმომადგენლის უკანონო მოქმედების შესაჩერებლად. გუშინ ტფილისის გუბერნატორმა მოსთხოვა ქალაქის გამგეობას ცნობები ამ საქმის გამო.

◆ ოლქის სასამართლოს ღვთის გმობისათვის მიხეილ ციციაშვილისათვის გარდაუწყვეტია 1 თვის ვადით ციხეში დაპატიმრება. სამოსამართლო პალატამ ამ დღეებში გაარჩია ეს საქმე, დამნაშავედ იცნო ბრალდებული და დაამტკიცა სასამართლოს გარდაწყვეტილება.

◆ 2 მაისს, სასტუმრო „მოსკვა“-ში მცხოვრებს ამიერ კავკასიის რკინის გზის მოხელეს, ნიკოლოზ სტროიანოვს ერთი შუშა გოგირდ-შერეული კარბოლის სიმჟავე დაულევია. სტროიანოვსკი მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნიათ, სადაც იგი იმ დღესვე გარდაცვლილა,

◆ 3 მაისს, ღამით, პოლიციის მე-6 ნაწილში, სურფ-სარქისის ქუჩაზე. ახალ-ბაიაზეთას მაზრის სოფ. გოკჩას მცხოვრებს ზალიბეკ ალეკოვსა და სიღნაღის მაზრის სოფ. ველისციხეს მცხოვრებს ვანო თარხანოვს ჩხუბი მოსვლიათ; ჩხუბის დროს ალეკოვს დანით მძიმედ დაუჭრია თარხანოვი, რომელიც რამდენიმე წამის შემდეგ გარდაცვლილა. დამნაშავე დააპატიმრეს. გამოძიება სწარმოებს.

◆ სადგურ წიფიდან იტყობინებიან, რომ 2 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე, გლეხს კლამაკიძეს მიმავალი მატარებლის ვაგონზე შეხტომა უნდოდა, მაგრამ ფეხი დაუცდა და მატარებლის ქვეშ მოჰყვა, რამაც ორივე ფეხი დაულეწა.

შეცდომის გასწორება. 2 მაისს „დღიურის“ თავში დაბეჭდილია. „კავკასიაში არიან ქართველები და სომხები, სომხები და ქართველები, ნუ თუ არ არიან ქართველები სომხები და თათრები“? უნდა იყოს. „კავკასიაში არიან ქართველები და სომხები, სომხები და თათრები, ნუ თუ არ არიან ქართველები, სომხები და თათრები“?

რუსეთის ქრონიკა

∝ პეტერბურგის გაზეთები იტყობინებიან, რომ მთავრობას გადაუწყვეტია ისეთივე შეღავათი მიანიჭოს მართლ-მადიდებელ სამღვდელო პირებს რკინის გზებზე მოგზაურობის დროს, როგორიც სამხედრო სამსახურის პირთ აქვს, ესე იგი, მესამე კლასის ბილეთით მეორეში შეეძლოსთ მოგზაურობა.

∝ საერო განათლების სამინისტრომ ძალიან სასურველად დაინახა, რომ საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლებმა მოაწყონ სამეცნიერო საჯარო ლექციების კითხვის საქმე.

∝ სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა საგანგებო კომიტეტს უკვე მოსდის მასალა და ცნობები ადგილობრივ კომიტეტებისაგან.

∝ 29 აპრილს პეტერბურგში თოვლი მოსულა; საზოგადოთ, ჩრდილოეთ რუსეთში სიცივე დაუჭერია აპრილის ბოლო რიცხვებში.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

(29 აპრილის სხდომა)

საბჭოს სხდომა გაიხსნა ცხრა საათზე ქალაქის თავის თავმჯდომარეობით.

საბჭოს მოხსენდა ეკლარის მადნის საქმეების განსახილველად ამორჩეულ კომისიის მოხსენება. კომისია ამბობს, რომ ქალაქმა თვითონ უნდა აწარმოვოს ეკლარის მადანი, თუ მისი გახრება არ უნდა.

მ. ე. დარახველიძე იმ აზრისაა, რომ ქალაქს ხელმოკლეობის გამო არ შეუძლია თვითონ აწარმოვოს ეკლარის საქმე. ის ურჩევს საბჭოს იჯარით გაიცეს მადანი, მხოლოდ ქალაქმა იყოლიოს იქ თავისი კაცი, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს, რამდენი ქვა იქმნება მადნიდან ამოღებული, და იმისდა-გვარად ბაჟს გადაახდევინებს მოიჯარადრეს.

ი. პ. ჯაიანი ამჯობინებს, რომ ქალაქმა მხოლოდ ბაჟი იღოს ქვის მომტეხებისაგან, ერთ მოიჯარადრეს კი ნუ ჩავუგდებთ ხელში მადანსო.

კ. ბ. ლორთქიფანიძე გაკვირვებულია, რომ საბჭო უოველთვის თავიდან იცილებს, თუ რამ სასარგებლო საქმეა, სხვას უგდებს ხელში და იმაზე კი არ ფიქრობს, როგორი მომავალი ექნება ამ საქმეს. ამგვარი მოქმედებით ქალაქი თვითმართველობის ხასიათს სრულიად ჰკარგავს. ის ურჩევს ქალაქს, უსათუოდ თვითონ აწარმოვოს ეკლარის მადანი.

მ. ა. ქიქოძე პრინციპიალურად თანახმაა, ქალაქმა თვითონ იკისროს მადნის წარმოება, მხოლოდ ეჭვის თვალით-კი უყურებს, რომ ქალაქმა უფულობის გამო შესძლოს საქმის ხეირიანად წაყვანა.

ა. საყვარელიძე ამტკიცებს, ქალაქს არ შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს ძმ. ანანოვებს, რადგან მათ რკინის გზა გაჰყავთ მადნებამდის და ქვის გადატანა გაუადვილდებათო.

დიდი კამათის შემდეგ კენჭი უყარეს ამ კითხვას. 17 ხმის უმეტესობით, 8 წინაამდეგ, გადაწყდა მადნის წარმოება თვითონ ქალაქმა იკისროს.

წაკითხულ იქმნა მოხსენება იმის შესახებ, რომ ქალაქმა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ეპატიოს მას ხაზინის ვალი, აგრეთვე დროებით გადადებულ იქმნეს გიმნაზიის ვალის (15,000 მან.) გადახდა. მოხსენება ერთხმად მიღებულ იქმნა.

წაიკითხეს მოხსენება იმის შესახებ, რომ საჭიროა ქალაქის აფთიაქი გადმოტანილ იქმნეს ქალაქისავე შენობაში, ტფილისის ქუჩაზე, საკათედრო ტაძრის მახლობლად. მოხსენება ერთხმად მიიღეს და ამოირჩიეს კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, როგორ უნდა გადაკეთდეს შენობა აფთიაქისთვის.

წაკითხულ იქმნა ქალაქის ასსენიზაციის გამგის იაშვილის თხოვნა ჯამაგირის მომატების შესახებ. რადგან ასსენიზაციის საქმე უფრო გაფართოვდა და შრომა გამოირკვდა, წლიურად 480 მანეთი დამინიშნეთო,—თხოულობდა ის. საბჭომ 14 ხმის უმეტესობით, 8 წინაამდეგ, შეიწყნარა თხოვნა.

საბჭოს მოხსენდა ქ-ნ მაჭავარიანის თხოვნა, რომელსაც ქალაქის თეატრში წარმოდგენა გაუმართა ადგილობრივ რეალურ სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ, რისთვისაც სათეატრო კომისიას 100 მანეთი გადაახდევინებია. ის თხოულობდა, რადგან სხვებს ამგვარ შემთხვევებში 35 მანეთად აუღიათ თეატრი, ჩემგანაც 35 მანეთი აიღეთ, დანარჩენი კი უკანვე დამიბრუნეთო. თხოვნა უყურადღებოდ იქმნა დატოვებული.

დანარჩენ კითხვებში საყურადღებო იყო ადგილობრივ ვაჭრის ი. მამაჯანოვის თხოვნა, რომ ქალაქს ნება მიეცა მისთვის, გაემართა ქალაქის ბაღში ჭაერში მოტრიალე ვაგონეტკები და თან პლანიც წარმოადგინა. თავმჯდომარემ მოახსენა საბჭოს, ამის შესახებ მე უკვე მოველაპარაკე ექიმებს, რომელთაგან ბევრი იმ აზრისაა, რომ

ეს არის ჩვენი მტკიცე და შეურყეველი სურვილი. ამის დავიწყება და დატოვება იქნებოდა საკუთარის თავის დავიწყება და ჩვენი ეროვნულის არსებობის უარყოფა, რადგან ერი, რომელსაც არ უნდა მოქმედება და მმართველობა, გადაგვარების და აღგვის გზას ადგია.

მაგრამ ეს სურვილი, ე იმის თქმა, რომ ქართველები აუცილებლივ უნდა ვიქნეთ არჩეულნი, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ უნდა იქმნას არჩეული ყოველი ქართველი მიუხედავად იმისა, ავია თუ კაი რიგი, ამ შეხედულობისა თუ იმის. განა თავის ერისადმი სიყვარული იმას ნიშნავს, რომ უნდა გიყვარდეს შენის ერის სისაძაგლეც და სიბინძურეც?

ეს არც იმას ნიშნავს, ბ. მოსაუბრე, რომ სხვა ერი გძულდეს და მისი ჩაყლაპვა გინდოდეს!

გადავდივართ ჩვენს მეორე „უგუნურებაზედ“. ბ-ნი მოსაუბრე ეროვნებით შექმას გვიკიჟინებს. ძნელი წარმოსადგენია ასეთი სხვისის აზრის გაუგებრობა. კაცი თვითონ დამარცხებული იყო, თავის დაცვა გინდოდეს და სხვისი შექმას გაბრალებდნენ! ჩვენს მოწინააღმდეგეს ერთი რამ ავიწყდება ყველაზე უწინარესს, რომ ჩვენ და სომხები ერთ პირობებში არა ვართ: ისინი საქმეს და მდგომარეობის ბატონები არიან, ჩვენ-კი არა. ჩვენი წადილი ის არის მხოლოდ, რომ დღევანდელივით დაჩაგრულნი არ ვიყვეთ მომავალშიც, რომ წართმეული უფლება დავიბრუნოთ, სხვას კი არ ვართმევთ, არა ვჩაგრავთ, გვინდა მხოლოდ საკუთარი უფლება მოვიპოვოთ. ჩვენის მეცადინეობისაგან, რომ ქართველები არჩეულ უნდა ვიქნეთ, ბ. მოსაუბრეს ასეთი დასკვნა გამოჰყავს, ვითომც ჩვენ ვამბობდეთ: „ქართველ ამომრჩევლებმა უთუოდ ქართველები უნდა აირჩიონ“. ასეთი შეუსაბამო და უსაფუძვლო დასკვნა სჩვევია ბ. მოსაუბრეს. მაშინ რას იზავთ, რომ სომხებიც აგრე მოიქცენო? გვისაყვედურებს ჩვენი მოწინააღმდეგე. სომხებს-კი შეუძლიანთ აგრე მოიქცენ, ბ. მოსაუბრე, მხოლოდ ქართველებს-კი არა და ვერა, რადგან ქართველები მცირე რიცხვს შეადგენენ ძლიერ და მათ მარტო არ ძალუძთ აირჩიონ ქართველები, თუ სხვებს არ შეუერთდენ. ამ მარტივის აზრის გაგებას თავის-მტვრევა არ უნდა, ბ. მოსაუბრე და ამასთანავე ერთის წინადადებით მოგმართავთ: გვიჩვენეთ და დაგვიმტკიცეთ, სად გამოვსთქვით ჩვენ ეს აზრი, რომელსაც ზემოთ გვაწერთ, გვიჩვენეთ ეს და საჯაროთ აღვიარებთ ჩვენ უნიჭობას და უგუნურობას!

რომ ბევრი არ გავაგრძელოთ და სიტყვა მოკლეთ მოვუჭრა ბ. მოსაუბრეს, მოვიყვან თუ რა გვითქვამს ჩვენ და სომხებს ურთიერთობაზე და საარჩევნო ბრძოლის შესახებ: „ჩვენ აღვიარებთ ეროვნულს ანტაგონიზმს. ჩვენ ამას ვამბობთ, მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, ვითომც ჩვენ ვქადაგებდეთ: არიქა, შევჭამოთ ერთმანეთი-მეთქი! არა, სრულიად არა. ჩვენ არა ვართ მქადაგებელი ბრმა მტრობისა და ველურის ბრძოლისა... შეიძლება ადამიანმა თავისი ინტერესები დაიცვას და სხვისასაც პატივი სცეს, თავის თავი არ დაივიწყოს, მაგრამ სხვაც არ დაღუპოს... ჩვენ და სომხები ერთად ვცხოვრობთ, ქალაქის საბჭოში საერთო საქმე გვაქვს, ამის შეგნებამ უნდა გაგვიადვილოს ერთმანეთისადმი პატივისცემა, და, რაც შეიძლება მეტი სამართლიანობა შევიტანოთ მომავალ არჩევნებში... ინდივიდუალობის დაცვა თუ ძალაა, შეერთებაც ძალაა!“ (ც. ფ. 1785). ამავე №-ში ვსთქვით: დარწმუნებული ვართ, იმ უკიდურესობამდე არ მივა ჩვენი და სომხების განხეთქილება, რომ სომხებმა გარდა ვიწრო ეროვნებისა არაფერი მიილონ მხედველობაში და გაგვაშავონ ქართველები სულ *). წინა №-ში აღვნიშნეთ რა ჩვენი და სომხების შეტაკება, ვწერდით, რომ ამ გზით ძიებით, მეცადინეობით, ერთმანეთის უფლების დაცვით „შევიძლებთ მოვიახლოვოთ ის კულტურული დრო, როდესაც დამყარებული იქნება ჩვენ შორის თანხმობა და ურთიერთი ძმობა“. ივერიის 74 №-ში ვამბობდით: „თამამად და უშიშრად შევხედოთ ამ ბრძოლას (ჩვენს ცდას, რომ მონაწილეობა მივიღოთ თვითმართველობაში, და სომხების წინააღმდეგობას), იგი სიცოცხლის ნიშანია. მხოლოდ ყოველის მხრით შევისწავლოთ, ავსწონ-დავსწონოთ, შევუფეროთ მომავალი, გავითვალისწინოთ სხვა გარემოებანიც და ვეცადოთ, რომ ბრძოლა რაც შეიძლება ადამიანური და სამართლიანი იყოს“.

მკითხველი ხედავს, თუ როგორ გვესმის ბრძოლა, ან როგორ ვუყურებთ სომხებს. ჩვენ მათი შექმა არ გვითქვამს; გვინდა მხოლოდ რომ ქართველი ხმო[illegible] ოში და სრულს პატივს ვცემთ სომხების და სხვა ერების უფლებათ.

როგორც დაიწყო, ისე ლანძღვა-გინებით ათავებს ბ. მოსაუბრე ჩემ შესახებ წერილს. მისის აზრით ჩემი ნაცოდილევი ციფრები („რას ამბობენ ციფრები“) ერთ რასმე ამტკიცებენ, რომ სომხის ბურჟუაზია ყველა დანარჩენ ერის ბურჟუაზიაზე გაცილებით მძლავრია. რისი თქმა სურს ბ. მოსაუბრეს? განა ამ სიმძლავრეს მნიშვნელობა აქვს, თუ სხვების ძალა არ იქმნა მიღებული მხედველობაში?—სხვა ყველაფერი უაზრობაა თურმე ჩემს ციფრებში. განა მართლა სხვაზე ნაკლებ საყურადღებოა იმის ციფრები, თუ რომლის ერის წევრები რამდენია საზოგადოთ, ან სხვა-და-სხვა რაიონებში, ან როგორ არიან დანაწილებულნი სხვა-და-სხვა ქონების პატრონები? ბ. მოსაუბრეს რად უნდა ამის განხილვა, იმან მხოლოდ რასმე წამოავლოს ხელი და გაგლანძღოთ, სხვა რა?!..

ბ. მოსაუბრე, განა მწერლობის დაკნინება და დაცემა არ არის ეს თქვენი კრიტიკა? განა შეუძლიან ადამიანს მაგვარ დახშულ ჰაერში ცხოვრება? ძალიან გიყვართ სხვის გულში ჩხრეკა და ძიება, ცოტა თქვენს სულსა და გულში ჩაიხედეთ: ეგებ ეს შრომა უფრო ნაყოფიერი იყვეს.

ვალამი

---

*) იქვე მოვითხოვეთ „ზნეობრივი“ არჩევნები, ე. ი. რომ ყველა ერს ჰყავდეს საბჭოში წარმომადგენლები რიცხვისა და გვარად, ან „კანონიერი“ არჩევნები, ე. ი. რომ არჩევნები, ცენზიან ქართველების, სომხების და სხვ. რიცხვის მიხედვით მაინც იქნეს.

ეს ბავშვებისათვის ჰიგიენის მხრივაც მავნებელი იქნება და ბაღისთვისაც უხერხული. საბჭომ უყურადღებოდ დასტოვა თხოვნა.

დასასრულ ამორჩეულ იქმნა ცენზისაგან დამზღვევ საზოგადოების თავმჯდომარე, მისი კანდიდატი და სარევიზიო კომისიის ერთი წევრი. ერთხმად აირჩიეს ისევ ძველები: თავმჯდომარეთ—მ. ა. ქიქოძე, კანდიდატად—ს. ნ. ლორთქიფანიძე, სარევიზიო კომისის წევრად—ი. პ. ჯაიანი.

სხდომა $11^1/_2$ საათზე დაიშალა.

დონ—ვალიანი

სასამართლო

სტუდ. ლორთქიფანიძისა და სხვათა საქმე.

ოთხშაბათს, 2 მაისს, ტფ. სამოსამართლო პალატამ, პალატის უფროს თავმჯდომარის დ. ს. ს. ვრასსკის თავმჯდომარეობით და წევრების ფრანცოვისა და ოპტოვცევის მონაწილეობით გაარჩია საქმე სტუდენტების ნიკოლოზ მერაბის ძის ლორთქიფანიძისა, კირილე იესეს ძის ნინიძისა და ალექსანდრე ნიკ. კანდელაკისა და ქუთაისის მაზრის სოფ. ლაშეს მცხოვრების ილია ირ. აბხაიძისა, რომელთაგან პირველს სამს ბრალდებოდა 1901 წლის 5 მაისს ქუთაისის თეატრში რუსის არტისტების მიერ პიესის „კონტრაბანდისტების“ წარმოდგენის დროს უწესოების მოხდენა და პოლიციის მოხელეთა სამსახურის აღსრულების დროს მოქმედებით შეურაცხების მიყენება, ხოლო აბხაიძეს, რომ მან იმავე წარმოდგენის დროს თეატრის წინ მრავალ ხალხთან ერთად ასტეხა ყიყინა და ყვირილი, რითაც დაარღვია საზოგადო მყუდროება და ამასთანავე შეურაცხება მიაყენა დარაჯს პოლუქტოვს ქვის სროლით. ბრალს სდებდა სამოსამართლო პალატის მბრალმდებლის ამხანაგი ლემერმანი. ბრალდებულთაგან ლორთქიფანიძეს და ნინიძეს იცავდა ნაფიცი ვექილი მოსე ქიქოძე, ხოლო კანდელაკსა და აბხაიძეს თავ. ფაღავა.

რადგანაც წარსულ წელში ჩვენის გაზეთის მკითხველებს დაწვრილებით გავაცანით ამ საქმის გარემოება, ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ოთხივე ბრალდებულნი, თანახმად მომრიგებელ მოსამართლეთა დებულების მე-2 და მე-3 ნაწილის 38 და 39 მუხლებისა და გარდაუწყვიტა მათ ფულით დაჯარიმება: ნ. ლორთქიფანიძეს 150 მნეთით, კ. ნინიძეს 100 მან., ა. კანდელაკს 50 მან. და აბხაიძეს 5 მ. ამასთანავე ოლქის სასამართლომ გადასწყვიტა, რომ, თუ ბრალდებულნი აღნიშნულ საჯარიმო ფულის გარდახდას ვერ შეიძლებენ, მაშინ დაესაჯნათ ციხეში დაპატიმრებით: პირველი $1^1/_2$ თვის ვადით, მეორე 1 თვისა და მესამე ორის კვირის ვადით, ხოლო აბხაიძე პოლიციაში ერთის დღის ვადით დაკავებით. ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე პროტესტი გამოუცხადებია სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგს მალინოვსკის, რომელსაც პალატისათვის უთხოვნია დაერღვია სასამართლოს განაჩენი და ბრალდებულნი დაესაჯნათ, თანახმად სასჯელთა დებულების მე-285 მუხლისა; სასამართლოს განაჩენი გაუსაჩივრებიათ აგრეთვე ბრალდებულთაც.

საქმის გარემოების მოხსენების შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ბრალმდებელმა და შემდეგ დამცველთ.

ბრალმდებელი ლემერმანი. მე ვეთანხმები ქუთ. ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგის მალინოვსკის პროტესტს და ვითხოვ დასჯილ იქმნენ ბრალდებულნი, თანახმად სასჯელთა დებულების მე-285 მუხლისა, რადგანაც სტუდენტებისა და აბხაიძის მოქმედებას არავითარი გამამართლებელი საფუძველი არა აქვს. სტუდენტები წინასწარ განზრახვით თეატრში დემონსტრაციას მართავენ და ყვირილითა და სკამების რახუნით წარმოდგენას ხელს უშლიან; მათ რამდენჯერმე აფრთხილებენ, ისინი მაინც თავისას არ იშლიან. პოლიცია იძულებული შეიქმნა ძალათი გამოეყვანა ისინი თეატრიდან. მათი მოქმედება იმდენად გადასცილდა წრეს, რომ ერთი მათგანი ხალხისადმი მიმართულ სიტყვაში ამბობს—„პადლეცი“ იქნება ის, ვინც ამ წარმოდგენას დაესწრებაო. ეს სტუდენტების უზრდელობა-გაუწვრთნელობაა და ამიტომ ჩვენ უნდა დავსაჯოთ ისინი ციხეში დაპატიმრებით; ვაჩვენოთ, რომ კანონი სასტიკად სდევნის ასეთს უზრდელობას და მათზე პალატის ამნაირს განაჩენს დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა ექნება. სტუდენტების ფულით დაჯარიმებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ამ საქმეში, რადგანაც ეს დასჯა იქნება მათის მშობლებისა და არა მათი.

ლორთქიფანიძისა და ნინიძის დამცველმა ნაფ. ვექილმა მ. ქიქოძემ კარგა ხანს ილაპარაკა. მან ბრალმდებლის მოსაზრების წინააღმდეგ საქმიდან მოიყვანა ზოგიერთი საბუთები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ სტუდენტების მოქმედებაში სრულებით ვერ ვპოულობთ პოლიციის მოხელეთა სამსახურის ასრულების დროს შეურაცხყოფის მიყენებას ან წინააღმდეგობის აღმოჩენას. სხვათა შორის, ქიქოძემ აღნიშნა ის გარემოება, რომ ქუთაისის პოლიცმეისტერმა ლისოვსკიმ სრულიად სხვა-და-სხვა ჩვენება მისცა გამომძიებელს და სასამართლოს; აგრეთვე შესცვალეს თავიანთი ჩვენებანი ბრალდების სხვა მოწმეებმაც; ამის გამო მათს მოწმობას ამ საქმეში, ბ. ქიქოძის აზრით, ყურადღება არ უნდა მიექცეს. სტუდენტების წინააღმდეგობა, თუ ეს წინააღმდეგობად შეიძლება მივიღოთ, სთქვა დამცველმა, იმით გამოიხატა, რომ, როცა მათ ჯოხებითა, ხმლის ტარებით და მათრახებით პოლიციელებმა ცემა დაუწყეს, მათ იმდენ ხალხში მოძრაობის დროს, სრულიად შემთხვევით, ცემის თავიდან ასაცილებლად ცდის დროს, ხელი წაჰკრეს მოხელეთ, რაც ბევრმა მოწმეებმაც აღნიშნეს სასამართლოში. სტუდენტები არავის არ სცემდნენ, პირიქით, ისინი დალახეს შეუბრალებლად, რამაც გამოიწვია სამართლიანად მთელი იქ დამსწრე საზოგადოების გულის წყრომა. დასასრულ ქიქოძემ ითხოვა თანაგრძნობით მოჰკიდებოდა პალატა ლორთქიფანიძეს და ნინიძეს სასჯელის გარდაწყვეტის დროს.

ნაფ. ვექილმა თავ. ფაღავამ პალატის ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საქმეში სრულიად არ არის დამამტკიცებელი საბუთი, ვითომც სტ. კანდელაკს ქუთაისის პოლიცმეისტრის. თანაშემწის ტატიაშჩენკოსათვის ორჯელ მუშტი ჩაეკრას, მოწმე ჯაფარიძის (ალ. დ.) ჩვენებით, როცა კანდელაკი ვიწრო კიბეზე კინწის კვრით მოჰყავდა პოლიციელს, მან თავი ვეღარ შეიმაგრა, დაეშვა კიბეზე, რომლის ბოლოზედაც იდგა ტატიაშჩენკო და კანდელაკს რომ თავი შეემაგრებია, უცაბედათ ორივე ხელებით დაეტაკა მას; სასამართლოში მოწმე ტატიაშჩენკომ თვით განაცხადა, რომ მას არ შეუძლიან გადაწყვეტით სთქვას—კანდელაკმა ეს განზრახ ჩაიდინა, თუ უცაბედათ. კარგა ხან ლაპარაკის შემდეგ ფაღავამ დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: მე არ შემიძლიან დავეთანხმო ბრალმდებლის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ უზრდელი სტუდენტების აღზრდა ციხეში დაპატიმრებით შეიძლებოდეს. როცა ასეთი მზრუნველობა გვინდა გამოვიჩინოთ, მაშინ უფრო დიდი სიკეთე იქნება ისინი ისევ უნივერსიტეტში დარჩნენ, რადგანაც ეს დაწესებულება ზრდის და აფაქიზებს კაცს ყოველ მხრით და არა საპატიმრო, როგორც ბრალმდებელი ამბობსო.

პალატამ, $1^1/_2$ საათის თათბირის შემდეგ, გამოაცხადა განაჩენი, რომელიც უკვე გუშინ აღვნიშნეთ.

უცხოეთის წვრილი ამბები

სამკურნალოები სახლის ბანებზე. ნიუ-იორკში ამ ჟამად ბევრსა ლაპარაკობენ ერთი ექიმის პროექტზე, რომელიც მიიღეს სხვა დიდ-ქალაქებშიაც.

ამ ექიმმა, გვარად ნორტრუპმა, აღძრა კითხვა მაზე, რომ დიდ ქალაქებში არის ადგილები, რომლებიც შეიძლება სამკურნალოდ მოიხმარონ ჰიგიენურის მხრივ, მაგრამ სულ უყურადღებოდ არის მიტოვებული. ეს არის სახლის ბანები.

ექიმი ნორტრუპი ამტკიცებს, რომ ბანები იმისთანა ადგილებია, რომელთაც საუკეთესო პირობები აქვთ სიმრთელისათვის, როგორც შედარებით სუფთა ჰაერი და მზის შუქი.

იმისი პროექტი იმაში კი არა მდგომარეობს, რომ მცხოვრებთ ისეირნონ ბანზე სუფთა ჰაერის გამო, მით უმეტეს, რომ ბანებზე დიდი ქარი იცის ხოლმე, არა, იმას აზრადა აქვს, ბანებზე გაკეთდეს დახურული სადგომები, რომლებიც სამკურნალო სახლის მაგიერი იქნება. ეს სადგურები უნდა აშენდეს მარტო რკინისა და შუშისაგან, რომ ჰაერს და მზის შუქს თავისუფლად შეეძლოთ მოქმედება ამ სადგომებში.

ამ მხრივ გამოცდამ მეტად სასიამოვნო შედეგი იქონია, მეტადრე სუსტი ბავშვებისთვის. ზამთარში ამ სადგომს უმეტეს ნაწილად მზე ათბობდა. ბავშვები, რასაკვირველია, სულ ბანზე არ იქნებიან და იქ მხოლოდ რამდენიმე საათს გაატარებენ, რომელიც მათთვის მეტად სასარგებლო იქნება.

ამ პროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს მეტადრე ამერიკის დიდი ქალაქებისთვის, სადაც ძალიან მაღალ სახლებს აშენებენ.

* *

სასარგებლო... თავის მოკვლა. ამ დღეებში ლონდონში ერთმა საწყალმა მოხელემ განიზრახა თავის მოკვლა, მაგრამ რადგანაც იმას უნდოდა, რომ იმის სიკვდილს რაიმე სარგებლობა მოეტანა იმის ოჯახობისთვის, ამის გამო თავი ჩამოიხრჩო, მხოლოდ წინადღეებში გაზეთებში გამოაცხადა, რომ ამა და ამ ადრესით შეიძლება თავჩამოხრჩობილის თოკის ნაჭრების შეძენა, რომელთაც, ცრუმორწმუნე ხალხის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვთ, რომ თუ ამ თოკის პატარა ნაჭერი ჯიბეში იქონია კაცმა, ბედნიერება არ ასცდება ქაღალდის თამაშობაში.

რამდენიმე დღეში სულ დაიტაცეს თოკის ნაჭრები, რის გამოც ჩამოხრჩობილის სახლობამ დიდი ფული შეიძინა.

აი ჭკვიანი კაცი!

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 მაისი

პეტერბურგი. რუსეთის მრეწველობის და ვაჭრობის დამხმარებელმა საზოგადოებამ დაადგინა, დაარსოს კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს კითხვები წვრიმალ მრეწველობის ცენტრალურს ბიუროზე და გაზეთის გამოცემაზე, რომელიც ამ მრეწველობას მხარს დაუჭერს.

ვარშავა. გუშინ ვარშავაში მოვიდა სამხედრო მინისტრი კუროპატკინი და გუშინვე წავიდა პეტერბურგ—ვარშავის რკინის გზით.

ვოლოჩისკი. შაჰი ვენაში წავიდა.

გაგრა. დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული მეუღლით რამონში წავიდნენ.

სარატოვი. სარატოვის საქალაქო სამმართველოს სურს შემოიღოს გარდასახადი სახლის პატრონებისაგან ქუჩის ნაწილის დაჭერაზე ასაშენებლის მასალით.

კიახტა. თოვლიანმა ქარ-ბუქმა მონღოლიაში შესამჩნევად დააზარალა საქონელი, ცხენები და ცხვრები.

ბელგრადი. ხვალ სკუპშინის სხდომაზე წაიკითხავენ კომისიის მოხსენებას სესხის პროექტის წინააღმდეგ. ელიან, რომ განცხადება იქნება კაბინეტის სამსახურიდან გამოსვლაზე.

რომი. გაზეთ „ტრიბუნა“-ს ცნობებით, აქედან ინგლისში წავიდა ორანჟეს რესპუბლიკის აპოსტოლიური ვიკარი გაუგრენი და როდესაც მიიღებს ვატიკანიდან ცნობას, რომ მშვიდობიანობაზე მოლაპარაკება შესდგა, ინგლისიდან აღნიშნულს რესპუბლიკაში გაემგზავრება.

პრეტორია. ყოველი მხრიდან მოდიან ბურთა დელეგატები, რომ აქედგან ვერეენინგენში გაემგზავრნენ. პირველი თათბირი მოუხდებათ 15 (2) მაისს.

ლონდონი. კიტჩენერმა პირობა დასდო ბურების სარდლებთან, რომ ვერეენიგენში ბურთა ყველა რაზმების წარმომადგენლები თავს მოიყრიან. თათბირში მხოლოდ ბურები მიიღებენ მონაწილეობას. წინადადებათა დამტკიცების შემდეგ, რომლებსაც კიტჩენერს წარუდგენენ, კონფერენცია, უეჭველია, დეპუტატებს გაგზავნის პრეტორიაში.

პარიზი. ბრესტის მერმა გაუგზავნა თავად ურუსოვს დეპეშა და სთხოვს გარდასცეს რუსეთის იმპერატორს ადრესი ბრესტის მცხოვრებლებისა; ადრესში გამოთქმულია უგულითადესი მოკითხვა და სურვილთა აღსრულება პრეზიდენტის რუსეთში წასვლის გამო.

3 მაისი

სუხუმი. გაგრინის ჭავის გამომკვლევმა სტანციამ უფასოთ დაუთმო რუსეთის სანავოსნო საზოგადოებას ადგილი სააგენტოსი და საწყობების გასაკეთებლად.

ნოვოროსიისკი. დღეს, პირველ საათზე, გზად გაიარეს გაგრიდან დიდმა მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასულმა და მისმა მეუღლემ პრინცმა ოლდენბურგელმა.

სედლეცი. სიფხიზლის საგუბერნიო მზრუნველთ დაადგინეს აშენონ სახალხო სახლი, რომელიც ეღირება 30,933 მან.

ირბიტი. ღრძილების ავადმყოფობის წინააღმდეგ საბრძოლველად ზემსტვომ გადასდო 15000 მან. ამასთანავე ზემსტვო სთხოვს ფულს „წითელ ჯვრის“ გამგეობას დამატებითი ხარჯისათვის.

ვლადივოსტოკი. 28-ს მოხდა ორი საშინელი მკვლელობა:

დახოცეს მთელი ოჯახი—ხარდინში—ვაჭრის მეეროვიჩისა და ნავთსადგურზე იმან—ტელეგრაფისტის ვესლოპოლოვისა.

გუშინ სამხედრო სასამართლოში დაიწყეს საქმის გარჩევა მძარცველთა და მკვლელთა, რომელთაც ჰბრალდებათ ხუთი მკ,ვლელობა და თხუთმეტი გაძარცვა იანვრის განმავლობაში.

ახალი ბუხარა. რუსეთის კოლონიამ და ბუხარის მმართველობამ დიდის ამბით მიიღეს ახლად დანიშნული საპოლიტიკო აგენტი ლიუტში.

გროდნო. დღეს, დილის 8 საათზე, აქ მოვიდა სამხედრო მინისტრი.

ვორონეჟი. ვორონეჟის „პრიკაშჩიკთა“ დამხმარებელ საზოგადოების კრებაზე დაამტკიცეს ახალი წესდება და დაადგინეს გახსნან საავადმყოფო.

რიაზანი. საბჭომ ჰსთხოვა საერო განათლების სამინისტროს საჭირო ფული გიმნაზიის საპარალელო კლასსების გასახსნელად.

პარიზი. ბრესტში, უმთავრესს საბჭოსადმი მიმართულ სამადლობელო სიტყვაში დუბემ, სხვათა შორის, სთქვა: „იმ საქმეში, რომელმაც გაუწია და მომავალშიაც გაუწევს დიდს სამსახურს ჩვენს სამშობლოს, მე ვიყავი პირველი თანამშრომელთაგანი; ამ საქმემ წარსულში უზრუნველჰყო მშვიდობიანობა და კეთილ-დღეობა და მომავალშიაც იგივე იქნება. რუსეთის იმპერატორისა და დედოფლის მობრძანების შესახებ უმთავრესს საბჭოთა მიერ გამოთქმული სიამოვნება ამტკიცებს, რომ ჩვენ სწორე გზას ვადგევართ.“

ლონდონი. ისეთი არა მოხდა-რა, რომ მოსალოდნელი იყოს მალე გათავდეს მხედრობა.

მშვიდობიანობის დასამყარებლად უებარი საშუალება არის ბრძოლის ენერგიულად გაგრძელება.

პეტერბურგი. ვალების გადამხდელი სახელმწიფო კომისია აცხადებს, რომ რადგან ტამბოვ-სარატოვის $4^0/_0$ ობლიგაციების ვადა 1902 წ. 2 ივლისს თავდება, ამ ობლიგაციების ახალი კუპონების ფურცლები 10 წლისათვის (1902—1912). ტალონით და 20 კუპონით მიეცემათ 1902 წლის, 2 ივლისიდან 1904 წ. იანვრამდე, ვინც ტალონებს წარუდგენს, ხოლო ამის შემდეგ კი ვინც თვით ობლიგაციებს. წარუდგენს ეს ოპერაცია მოხდება: პეტერბურგში—ვალების გადამხდელ სახელმწიფო კომისიაში, პარიზში—გოტტინგერთან და კ., ლონდონში—ძმ. ბერინგთან და კ., ბერლინში—მენდელსონთან და კ. ამსტერდამში—გოპპესთან და კ.

ისტორიული და ამ დროის ტანთსაცმელთა პირველი ხალხთა-შორისი გამოფენა გაიმართება. პეტერბურგში ამ წლის ნოემბერში რუსეთის რკინის გზებზე ეკსპონატების გადასაზიდი ტარიფი $50^0/_0$-ით იქნება დაკლებული.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია ტფილისის საათი, ფრჩხილებში კი—პეტერბურგის)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (ს ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 1 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 წ. (4 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

Дозволено цензурою Тифлисъ, 3 Мая 1902 года.

ელექტრობით მოძრავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.